საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/131

ქ. ბათუმი 15 დეკემბერი, 2021 წ.

დოქტორ ღასან ხალილისთვის ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის მე–4 პუნქტის, წესდების 62–ე მუხლის, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის (№23/05-22, 03.12.2021) ამონაწერისა და დეკანის, პროფესორ ლელა თურმანიძის მოხსენებითი ბარათის (MES 5 21 0001268217, 25.11.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) წარმომადგენელს, საერთაშორისო სამართლის დოქტორს **ღასან ხალილს** მიენიჭოს ბსუ-ს საპატიო დოქტორის წოდება.
2. დადგენილება გასაცნობად გაეგზავნოს ღასან ხალილს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტსა და სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.
3. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**